

ელექტრონული ტენდრით აუქციონის გარეშე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის ტერიტორიაზე, გზების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთების, შიდა ეზოების და შიდა კვარტალური გზების ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების, გზების ორმოული შეკეთების დეფექტური აქტების (ესკიზით) და ხარჯთაღრიცხვების შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სატენდრო კომისიის სხდომის

## ოქმი №1

ქ. თბილისი

05 თებერვალი 2019 წელი

### სხდომას ესწრებოდნენ:

**ნოდარ ტურმელაძე** - სატენდრო კომისიის თავმჯდომარე – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი);

**დავით კვინიკაძე** - სატენდრო კომისიის წევრი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (გამგებლის მოადგილე);

**ბიძინა ჩიკვილაძე** - სატენდრო კომისიის წევრი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (გამგებლის მოადგილე);

**ნანა გუგუნაშვილი** - სატენდრო კომისიის წევრი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (იურიდიული განყოფილების უფროსი).

**იოსებ სოფრომაძე** - სატენდრო კომისიის წევრი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი);

**დიმიტრი აბულაშვილი** - სატენდრო კომისიის წევრი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ/შ (საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მ/შ);

**მიხეილ პირტახია** - სატენდრო კომისიის წევრი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (თანდაფინანსებული პროექტების განყოფილების უფროსი).

### სატენდრო კომისიის აპარატის წევრები:

**ნათელა ელიზბარაშვილი** - საბიუჯეტო, საფინანსო და შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

**შორენა ვერულეიშვილი** - იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

### დღის წესრიგი:

ელექტრონული ტენდრით აუქციონის გარეშე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის ტერიტორიაზე, გზების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთების, შიდა ეზოების და შიდა კვარტალური გზების ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების, გზების ორმოული შეკეთების დეფექტური აქტების (ესკიზით) და ხარჯთაღრიცხვების შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის სატენდრო განცხადების და სატენდრო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება.

### მოისმინეს:

სატენდრო კომისიამ მოისმინა სატენდრო კომისიის წევრის იოსებ სოფრომაძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას წარმოუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილის (გამგებლის მოადგილის) დავით კვინიკაძის 2019 წლის 05 თებერვლის #30-01190361916 მოხსენებითი ბარათითა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობები.

კომისია გაეცნო სატენდრო დოკუმენტაციის პროექტს, რომელიც შედგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის მიერ შესასყიდი მომსახურების საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სავარაუდო ღირებულებით 50 000.00 (ორმოცდაათი ათასი ლარი და 00 თეთრი)ლარი.










გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდრის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დეფექტური აქტების (ესკიზით) და ხარჯთაღრიცხვების შედგენის მომსახურების შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, სატენდრო კომისიამ არ გაითვალისწინა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება, რაც შესაბამისად დასაბუთდა სატენდრო დოკუმენტაციის პროექტში.

**განიხილეს:**

სატენდერო კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობები, მსჯელობის შედეგად შეიტანეს მასში ცვლილებები და მიზანშეწონილად მიიჩნიეს აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

**კომისიამ დაადგინა:**

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია თანდართული რედაქციით.
2. მოხდეს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა და ელექტრონული ტენდერის გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მეთოდით (აბრევიატურა NAT).

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე		ნოდარ ტურმელაძე
სატენდერო კომისიის წევრი		დავით კვინიკაძე
სატენდერო კომისიის წევრი		ზიძინა ჩიკვილაძე
სატენდერო კომისიის წევრი		ნანა გუგუნაშვილი
სატენდერო კომისიის წევრი		იოსებ სოფრომაძე
სატენდერო კომისიის წევრი		დიმიტრი აბულაშვილი
სატენდერო კომისიის წევრი		მიხეილ პირტახია
კომისიის აპარატის წევრი		ნათელა ელიზბარაშვილი
კომისიის აპარატის წევრი		შორენა ვერულიშვილი